სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხაბალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**85**	**100**

სახელი, გვარი: /ნიკოლოზ მარსაგიშვილი/

თარიღი : 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნინო ხაბალაშვილის** შეფასების დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - ნინო ხაბალაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი კეთილ-სინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზე-ბულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნინო ხაბალაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრა-

ციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ნინო ხაბალაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, ნინო ხაბალაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, დადებით რეპუტაციას, პატიოსნებას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ნინო ხაბალაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმა ნინო ხაბალაშვილს გადახდილი აქვს დროულად.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ, სამართლიან და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ნინო ხაბალაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. აგრეთვე, საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ხაბალაშვილი გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და მშვიდი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად 2007 წლის 11 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხაბალაშვილთან დაკავშირებით ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში, მისი მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნინო ხაბალაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას შეცვფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ ნინო ხაბალაშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნინო ხაბალაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 5 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში - 2024 წლის 4 სექტემბერს, ნინო ხაბალაშვილთან

გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

ნინო ხაბალაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/15; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასებით, „ადმინისტრაციულ სამართალში ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდირებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები. ძირითადად მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში. მოსაზრებებს აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა, ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას. სისხლის სამართალი - ვინაიდან სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია, სჭირდება გარკვეული მითითება, თუმცა მიითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს. მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, თუმცა ზოგჯერ მისი ზეპირი ფორმით მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ნინო ხაბალაშვილი ფლობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. ამასთან, კანდიდატი მეტ-ნაკლებად ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან არაზუსტი პასუხი გასცა საკასაციო სამართალწარმოებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, ვერ უპასუხა სამოქალაქო სამართალში აღსრულების შებრუნების საკითხთან დაკავშირებით კითხვას; ასევე არასწორი პასუხი გასცა ზიანის ანაზღაუ-

რების სარჩელზე შესაგებლის წარსადგენად მოპასუხისათვის განსაზღვრულ ვადასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას. მისი პასუხი არ იყო ამომწურავი ჩვენების მიცემასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე. კანდიდატს გაუჭირდა ერთმანეთისგან გაემიჯნა თაღლითობა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით და მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივი ხასიათი. კანდიდატმა ვერ განმარტა არსებული განსხვავება განსაკუთრებულ და საერთაშორისო კომპეტენციას შორის, ასევე ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო პრაქტიკა, კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ ნინო ხაბალაშვილი იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, თუმცა რიგ შემთხვევებში სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები იყო არადამაჯერებელი, არაზუსტი და არასრული. ამასთან, საჯარო მოსმენისას არ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი აქტიურად ეცნობა კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნინო ხაბალაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასებით, „წერისას იყენებს გასაგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონიურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია.“ ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებისა და რესპოდენტების ინფორმაციით, კანდიდატს შეუძლია გადაწყვეტილებების დასაბუთება, აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტირებული და დასაბუთებულია, თუმცა საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო არასაკმარისია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება, რომლის თანახმად „სამოქალაქო სამართალში ნინო ხაბალაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები არ არის გადატვირთული უმნიშვნელო ფრაზებით. წერისას იყენებს გასაგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონიურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია. ადმინისტრაციულ სამართალში წერილობით დოკუმენტებს, როგორც წესი, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს. სისხლის სამართალში, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები საჭიროებენ კორექტირებას და შესწორებას, თუმცა მთლიანობაში მას შესწევს

უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა გაიგოს და შეძლოს მისი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება საშუალო სირთულის გაითვალისწინებით."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, ლოგიკური მსჯელობა. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის ნათლად გადმოცემის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ხაბალაშვილი გამოირჩევა მშვიდი მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ნათლად და გასაგებად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2009 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, ასევე ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატს გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა. იგი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით, კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ ნინო ხაბალაშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: 2016 წელი - ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს საქმიანობა და გადაწყვეტილებები, ქ. სტრასბურგი. გერმანია; 2016 წელი - იურიდიული მართლწერა; 2017 წელი - ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში; 2018 წელი - „რელაციის ტექნიკა;

მტკიცებულებათა შეფასება; მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო სამართალში"; 2022 წელი - „დისკრიმინაციის თემაზე ეროვნული სტანდარტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში". კანდიდატს ასევე გამოქვეყნებული აქვს სტატიები.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ ნინო ხაბალაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 85 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 17.09.2024